

ტისანა აბულაძე

ტრაპიზონის ფაშის სეიდ სულეიმანის წერილები სოლომონ მეორესთან

ცნობილია, რომ იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ სამეფოსა და ტახტის შესანარჩუნებლად „ლონელ უძღურებისა თვისასა“ ოსმალეთს მიმართა და სულთნისაგან დასმარების მიღების მოლოდინში თურქეთში დაასრულა სი-ოცხლის უკანასკნელი წლები¹.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მუსლიმურ ფონდში ინახება რამდენიმე თურქული დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს სოლომონ მეორის თურქეთში ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებს, სოლომონის ცალკეულ ზრახვებს და სულთნისა თუ აღმოსავლეთ ანატოლიის ფაშების დამოკიდებულებას მისდამი. ამ დოკუმენტთაგან ოთხი (Tur d 128₁₋₄): — ერთი ფირმანი (1812 წელს გაცემული) და სამაწერილი (1813 წლით დათარიღებული) დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში². ამჟამად ვაქვეყნებთ აღნიშნული წერილების ავტორის — ტრაპიზონისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლის ფაშის, სეიდ სულეიმანის³ კიდევ ორი წერილის თურქულ ტექსტსა და ქართულ თარგმანს.

წერილები დატულია ხელნაწერთა ინსტიტუტის მუსლიმურ ფონდში, Tur d 102 და Tur d 123 ნომრით. ორივე დაწერილია მოყვითალო ფერის სქელ კვირინშიან ქაღალდზე ნახშით. უზის სეიდ სულეიმანის ოვალური, შემურული ბეჭედი წარწერით: **سید سلیمان عبد ۴۱۹**

ორივე წერილში ლაპარაკია სულთნის მიერ სოლომონისთვის მეფურ წყალობად ბოძებულ 15000 ყურუშზე (არა გვეონია, რომ 1814 წლის მარტისა და

¹ ალ. ხახანაშვილი, მეფე იმერეთისა სოლომონ მე-II, თბ., 1910; აბ. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954; გვ. 51—79; შ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 156—203; შ. გონიკიშვილი, შენიშვნები იმერეთის სამეფოს გაუქმების შესახებ: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 34, თბ., 1962, გვ. 129—135; ნ. შენგელია, ს. ქიქია, ოსმალეთთან სოლომონ მეორის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი მეცნიერებათა შიშვე, ტ. 3, თბ., 1963, გვ. 187—189.

² ც. აბულაძე, ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, აღმოსავლური სერია, № 121, თბ., 1967, გვ. 165—185.

³ შდრ. შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღოები (1784—1810), თბ., 1953; ტრაპიზონის ვალი, ქანიკის გაპასალი (sic), ყარაქესარის და გონიის მუთასარიფი და სრულიად შავი ზღვის ფარშის (sic) და გურჯისტანის სარასკარის სამთულიანი სეიდ-სულეიმან ფაშა.

۱۳۰۲

حشمت زبکو کبیلو کوس و فادام مور شتخام خان محشم جنابلی
 هراه عرو جانی کار کسب ری هفاد دیکار اولدی دعوانی ارکب نایزه سستانه و اینا کینه بجایزه
 بردغه تیز و ارسله ارضان رفیه مورندی طوفه و درد و خلدنه مفهوسوه بوزن افیم با اراره مجرم جنابلی
 احسانه عطیه حرفه شاهانه بیوریزه اوله شیلک عذبی هلا کتمه نوز و طریزون و جابلک کایقاز حادینو
 انما بریز طرفدن اهد رفیق ابر ککزی مشرفاده کز معلوم اولوب حفظ مدفوزن اوچشد و دیگر شه مدفوزن
 بو ائشاده بی مجدا نامرایج اولدو ککزی اسار اوئن الهجا اثر خزنی موجب اولوب حق تعالی مددیزی فریقا
 اسباب ویدا شغای عاجله عنایت و احسان ایم امین بردغه سفارم اولور رفیق نور کوسیم خاصا
 استقامت خطه دوستانه لی سیافه مشور رفیه مودن تحریزه باری اولمشد ان شاء الله تعالی کفری الیوم
 معلوم صداقت ملزمین اولورقه کلور دفعه کینه مزاجکی دعوه خیر کوی مشور رفیه مودنکی اولیدر طوفه
 یاد و نذکاره عیبکس مذل مجانه مودر اتم



از قبیل زینلو رتیلو هشتم و دست مخالف بیستم سلوان خای جناب
 جانب رتیلو به سو سو سو ایچ اچویه خاخره و ستانه ری سلوان و اسلیم اولدینی سیاقه قایق مجانه زرد که
 عارف رتیلو به درکار اولدین میل دوروز کون بیک ازین اولعه اولوب آمدن اینه انصالیبیر اولیه بوز اولدین
 مستقیم و اشتغال مدرسیبه درقه صورت اولانه و سوس اولدین می اید و جناب دستانه ری خاخره مجانه
 اصغر فرانتش اولدینیک یوقدر دیزک اقدیر بر قطعه درقه رفت و سید اولمش اولفله بوانه قدر ذیل اولق
 کردر و بدورقه آوان اوطن عیضه ری مشول و غیوضه مفهومی معلوم اولمش حکمت خدا هست یکه و و عاقل
 ایله هذاتوک افاق بولمیک انصار اولمش و افاق بوله صلیک مالک دولیه به عزت ایله آما اولمش
 بومورنه ابتدا اوره قالدیه دولیه ککک رد او ضعیب اولوب اولدین برکه بدورقه عزت این جلیکری در علیه به عزت
 و تقدیم ایتمک لوزدر افاده اولدینجه عزتیکر غیر ضعیب ابروی و بومورنی اولدینجه عزتیکر قانقازن مرز اولدینجه
 هفتیلده دخی مزارک ایله مستحسن اولدین و بدوانن افای موی ایله هفتیلدیک امور و افره و اشتغال نکاتره و در حاد
 اولدینجه مسیبه بعضی لوزنات دستانه ازج معصوبت بکانتی ریده بودخه استراحت و دراهنای خصوصاً تأکید
 طرزین تخیر و انصار اولدین و عطیه شاهانه بوزدرین اولدینجه عزتیکر دخی معی رتیلو به اعطا اولدین
 اولدینجه خصوصاً دخی بوجه دت تخیر اولدین بینه نکل کافه امور و دراهنای انصالیبیر مرقع و کتیز زینار
 و بیغ اولدینجه و ان تا انقلک سابه اما ایله هفتیلدیک هر خصوصاً رهنا و کوزل اولدینجه جناب دستانه ری
 دخی خویاب اولدینجه و بومورن سلوان اولفله شریک افاده اولدینجه بر هودن اولدینجه سبزه بوزدرین کتیکر مال
 اولدینجه و هر خصوصاً نادرک داید تقدیرین معلوم اولدینجه و افاق سلوان خاخره دستانه ری سیاقه
 سادام الجوده طرکی و امین ایلمک عمیر اوکان ابریک خنده شمه صورت تخیر و اوال اولدینجه انقلک لوز اولدینجه
 زین بویه دخی طرکی خاخره دستانه زین عدم زانکری مایل مجانه زرد کردر



1815 წლის იანვრის წერილებში ერთი და იმავე 15000 ყურუშის ხსენება იყოს. იქნებ ეს თანხა სოლომონს განწესებული ჰქონდა სულთნისაგან ყოველწლიურად).

წერილებიდან ცხადი ხდება, რომ სოლომონ მეორე თურქეთში საპატრიარქის მდგომარეობაში ჩაეარღნა. აღმოსავლეთ ანატოლიის ფაშებისა და სერასქერებისგან იმედგაცრუებულს, დახმარების მოლოდინით თავგაბეზრებულ მეფეს, მიუხედავად ავადმყოფობისა, თავად განუზრახავს სტამბოლს წასვლა, მაგრამ ეს განზრახვა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, განუხორციელებელი დარჩა.

Tur d 123

[1] رغبتلو زينتلو ربتلو حشمتلو دوست مخالصت پيوستم سلومان خان جنابلری

[1] جانب ربتلرينه سلام سلامت انجام ابلاغيله خاطر دوستانه لری سؤال و استعلام اولنديقى سياقنده نماينده محبانه زدر كه [3] طرف رغبتلرينه دركار اولان ميل درونمز كون بكون افزون اولمقده اولوپ مرور اوان ايله انفصال پذير اولميه جفى تعريفدن [4] مستغيدر و اشتغال امور سبيله وره مودت ارسالنه دسترس اولنه مدي ايسه ده جناب دوستانه لری خاطر محبانه مدن [5] اصلا فراموش اولنديگيز يوقدر و بوندن اقدام بر قطعه وره مز بعث و تسير اولنمش اولمغله بو آنه قدر واصل اولمق [6] كر كدر و بو دفعه ارسال اولنان عريضه لری مشمول و خلاصه مفهومی معلومز اولمشدر حكمت خدا حته ليكه دوچار ايله [7] الي هذا الان افاقت بولمديگيز اشعار اولنمش و افاقت بوله مديگيز حالده در عليه عظيم ايلمكز ايما قلنمش [اولنه] غله [8] بو صورته ابتداء امرده قالقوب در عليه كتمك روا و مناسب اولميوپ اولاً بر كره بو وجهه عظيم ايدم جيكيزي در عليه عرض [9] و تقديم ايتمك لازمدر افاده اولنمدقچه عظيمكز غير مناسب ايدوكي و بو خصوصي اولطرفده طربزون قائمقامز مروتاو اغا پدرمز [10] حضرتلرينك دخي مذاكره ايلمكز مستحسن اوله جفى و بو اوانده اغاي مومي اليه حضرتلرينك امور و افره و اشتغال متكاثره يه دوچار [11] اولديقى حسييله بعض لوازمات دوستانه لرنده صعوبت چكلمش ايسه ده بو دفعه استراحت و رفاهيتارى خصوصارى تاء كيداً [12] طرفمزدن تحرير و اشعار اولنديقى و عطيه شاهانه بيوريلان اون بشبيك غروشيك دخي صوب ربتلرينه اعطا و تسليم [13] اولنمق خصوصارى دخي بروجه دقت تحرير اولنوپ بمنه تعالى كافه امورو رفاهيتلرينه اقتضا ايدن مساعده و همتمز زنه ار [14] دريغ اولنميه جفى و انشاء الله تعالى سايه هماويه حضرت تاجداريده هربر خصوصلر رعنا و كوزل اولوب جناب دوستانه لرى [15] دخي فرحياب اوله جفى و بو حواليلردن سؤال اولنمغله شمديك افاده اولنه جق بر حوادث اولميوپ سيزلر بو طرفدن كتكلىرى حال اوزره [16] اولديقى و هر بر خصوص توادكز داويد تقريرندن معلومكز اولمق ايجون و خاصه سؤال خاطر دوستانه لرى سياقنده [17] و مادام الحيواة طرفكيزي فراموش

ایلمک عدیم الامکان ایدوکی ضمنده شقه مودت تحریر و ارسال اولئمشر انشاء الله
تعالی لدى الورد [18] بوندن بویه دخی طرفمزی خاطر دوستانه لرندن عدم
فراهوشلری مامول محبانه زدر دوستم

فی سنه ۲۲۹

را ۱۹

سید سلیمان عبده

۲۱۹

თ ა რ ზ მ ა ნ ი

სანატრელო, მშვენიერო, ჩინოვანო, დიდებულო, გულწრფელო მეგობარო, ჩემო თანამოაზრევე, თქვენო აღმატებულებავ სოლომონ ხან!

თქვენი უდიდებულესობისათვის მშვიდობის მომტანი საღმისა და მეგობრული პატივისცემით ამბის მოკითხვის და გაგების გზით ჩვენი კეთილის მსურველი მოსახსენებელი ის არის, რომ პატივმოსილთა მიმართ ჩვენი ჭეშმარიტი სიყვარული განუზომელია და კვლავაც დღითიდღე იზრდება. საჭირო არ არის გამცნოთ, რომ დროთა სრბოლა ვერ დაგვაშორებს. მართალია, საქმეებით გადატვირთვის გამო, ვერ მოხერხდა მოკითხვის წიგნის გამოგზავნა, მაგრამ არაოდეს ყოფილხართ ჩემს კეთილგანწყობას მოკლებულნი და მივიწყებულნი. ამას წინათ პატარა ბარათი გამოგიგზავნეთ და აქამდე უნდა მოსულიყო.

ახლახან გამოგზავნილი წერილი მოვიდა და ჩვენთვის ცნობილი გახდა მისი შინაარსი და ძირითადი აზრი. ბრძენ უფალს ავადმყოფობა შეჰყარია უცებ. შევიტყუეთ რომ არ გამოჯანმრთელებულხართ აქამომდე და თუმცა თავს კარგად ვერ გრძნობთ, მაინც გაგიზრახავთ სტამბოლს¹ გამგზავრება. ასეთ მდგომარეობაში საქმის წამოწყება და სტამბოლს წასვლა არ არის რიგიანი და მიზანშეწონილი. უპირველესად საჭიროა ერთხელ არზისა და მოხსენების წარდგენა, რომ თქვენ ამ მიზეზით გაემგზავრებით სტამბოლს. შეუტყობინებლად კი თქვენი ჩასვლა მიზანშეწონილი არ არის. კარგი იქნება თუ ამის შესახებ დაეთათბირებით ტრაპიზონის კაიმაკამს², მის აღმატებულებას, ჩვენს კეთილშობილ მამა აღას.

იმის გამო რომ მის აღმატებულებას, ზემოხსენებულ აღას, ამ ხნის განმავლობაში ბევრი საქმე ჰქონდა და ძალიან დაკავებული იყო, ჩვენს მეგობრებს ნივთიერად გაუჭირდათ, მაგრამ აწ კი თქვენი მოსვენებისა და უზრუნველყოფისათვის პირობები მოგვარებულია. ჩვენ ეს მოგწერეთ და შეგატყობინეთ. ყურადღების ნიშნად ისიც იქნა მოწერილი, რომ მეფურ წყალობად გაღებული 15000 ყურუშ³ ებოძა და ჩაბარდა მალალ ჩინიანთ⁴.

¹ სტამბოლის აღმნიშვნელად წერილში ყველგან **عليه** კა 'კარი მალალი' სწერია.

² კაიმაკამი < არაბ. **كأما** < **أما** + **كأن** 'ადგილის დამკერი' > 'სახელმწიფო მოხელე', 'კახის მმართველი'.

³ ყურუშ — თურქული მონეტა, პიასტრი; თურქული ლირის მესამედი ნაწილი.

⁴ აქ უნდა იგულისხმებოდეს ტრაპიზონის კაიმაკამი. როგორც სეიდ სულეიმანის მეორე წერილიდან (Tur d 102) ჩანს, სულთანი სოლომონ მეორისთვის გაღებულ საბოძარს — 15.000 ყურუშს უგზავნის ტრაპიზონის კაიმაკამს. ეს უკანასკნელი გადასცემს ამ თანხას სოლომონ ხანს.

უზენაესის წყალობით არ დაიწოგება ყველა თქვენი საქმისათვის და თქვენი უზრუნველყოფისათვის საკირო გულმოდგინება და მცდელობა.

თუ მაღალმა ღმერთმა ინება, მისი მეფური წყალობით, მისი უდიდებულესობის — გვირგვინოსნის — ყოველგვარი საქმე კეთილად და კარგად დასრულდება. ჩვენი საყვარელი ბატონებიც გაიხარებენ. ამ ამბების შესახებ შეკითხვაზე ამჯერად ვაღმოსაუბრებ ახალი არაფერი მომხდარა, ისეთივე მდგომარეობაა, როგორც თქვენი აქედან წაგლის დროს იყო.

იმისათვის, რომ თქვენი თავადის დავითის⁵ ნაამბობიდან თქვენთვის ყველაფერი ნათელი იყოს, განსაკუთრებით კი მეგობრული მოგონების მაჩვენებლად და მაუწყებლად იმისა, რომ არაოდეს იქნებით დავიწყებულნი, დაიწერა და გამოიგზავნა მოკითხვის წიგნი. ჩემო მეგობარო, თუ მაღალმა ღმერთმა ინება, როცა [წერილს] მიიღებთ, ჩვენი გულითადი სურვილია არ დაივიწყოთ ჩვენი მეგობრული მოკითხვა.

დაიწერა: [1]229 წლის რებბ'ულ-ევეელის 19*-ს.

ბეჭედი წარწერით: მონა მისი (აღლმპის) სეიდ სულემან. [1]219**

Tur d 102

[1] حشمتاو زيتلو كياستلو دوست وفادارم مودتشعارم خان محترم جنابلری
[2] هماره عمر و حیاتله کارسندیلهلری صغار و کبار اولملری دعواتی اداسیله
نماینده دوستانه و ابنا کرده مجبانهزدر که [3] هو دفعه تحریر و ارسال اولنان
رقیمه مودتلی طرفمزه ورود و خلاصه مفیومنده بوندن با اراده علیه جنابکزه
[4] احسان و عطیه حضرت شاهانه بیوریلان اون بشیک غروشی حالا کتخدانز و
طریزون وجانیك قایمقامز ساداتو [5] اغا پدرمز طرفندن اخذ و قبض ایلدککیزی
مشعر افاده کز معلوم اولوب حفظ موفورمز اولمشدر و دیگر شقه مودتlendirه [6] بو
اثناده ینه مجدداً نامزاج اولدیفکیزی اشعار اولنمش اولوب اثر حزنمزی موجب اولوب
حق تعالی حضرتلری قریباً [7] اسباب و دوا شغای عاجلر عنایت و احسان ایلیه
امین بو دفعه متعازم اولور وقوعی نعم الوسیله خاضا [8] استفسار خاطر دوستانهلری
سیاقنده اشبو رقیمه مودت تحریرینه بادی اولمشدر انشا الله تعالی لدی الوصول
[9] معلوم صداقت ملزومك اولدقده کلور وقوعنده کیفیت مزاجکیزی و صحت
خبریکیزی مشعر رقیمه مودتلی ارسالیله طرفمزی [10] یاد و تذکاره حمیتلری مأمول
مجبانه مزدر دوستم

۲۳.

م ۲۳

ბეჭედი:

سید
سلیمان
عبده
۲۱۹

⁵ თავადი დავითი—დავით ავიაშვილი, ქვემო იმერეთის სარდალი, სოლომონ მეორის წარმომადგენელი სტამბოლში. მან და ჭაიხოსრო წერეთელმა (ზემო იმერეთის სარდალი, სოლომონის ერთგული თავადი) მიიარაღეს სულთანს სოლომონ მეორის მორჩილებს წერილი. იხ. ნ. შენგელია, ს. ქიქია, დასახელებული წერილი, გვ. 192; გ. ავალი შვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, თბ., 1967, გვ. 62.

* ჩე. წელთაღრიცხვის 1814 წლის 10. III-ს.

** 1804-05 წ.

თ ა რ გ მ ა ნ ი

დიდებულო, მშვენიერო, შორსმკერეტელო, მეგობარო ერთგულო, სიყვარულით გამორჩეულო, თქვენო აღმატებულებაზე ბრწყინვალეო ხან!

მარად ეამ სიცოცხლითა და დღეგრძელობით, მცირეთა და დიდთაგან მოსაწონ საქმეთა ჩადენაზე ლოცვა-კურთხევით ჩვენი კეთილგანწყობის მაუწყებელი და მეგობრული მოსახსენებელი ის არის, რომ ახლახან დაწერილი და გამოგზავნილი მოკითხვის ბარათი მოვიდა და მის ძირითად შინაარსში თქვენგან გადმოცემული ამბავი შევიტყუეთ.

ამ ცოტა ხნის წინ მიგიღიათ და ჩაგიბარებიათ ახლანდელი ჩვენი ქეთხუდნსაგან¹, ტრაპიზონისა და ჭანიკის² კანიმაკამის, სვებედნიერ მამა აღასაგან თქვენი უდიდებულესობისათვის უზენაეს მეფურ ჩილდოდ ბოძებული და ნაწყალობევი 15000 ყურუში და უზომოდ გავიხარეთ. სხვაც გვეცნო მოკითხვის ბარათიდან — თქვენ ამჟამად კვლავ შეუძლოდ ბრძანებულხართ, რაც ჩვენი წუხილის მიზეზი შეიქნა. ზალე გიბოძოთ და გიწყალობოთ მალაღმაღმერთმა სწრაფად განმკურნავი წამალი და საშუალება, ამინ! ამჯერად ერთმანეთი დაეაშვიდეთ. ბედნიერი შემთხვევის გამო, საგანგებო მეგობრულ მოკითხვა გახდა მიზეზი ამ სასიყვარულო წიგნის მოწერისა. თუ მალაღმაღმერთმა ინება, როცა მოაღწევს და როცა გეცნობებათ ჩვენი მტკიცე ერთგულება, ჩვენი გულითადი სურვილია ჩემო მეგობარო, რომ როგორ იგრძნობათ თავს — თქვენი ჩანმრთელობის ამბის მაუწყებელი მოკითხვის ბარათის გამოგზავნით ბეჭითად განსოვდეთ და მოგვიგონოთ.

[1] 230 წლის მუჰარრემის 23*

ბეჯედი: მონა მისი (აღლწისა) სეჟდ სულეიმან. [1] 219**

Ц. А. АБУЛАДЗЕ

ПИСЬМА ТРАПЕЗУНДСКОГО ПАШИ СЕЙД СУЛЕЙМАНА К СОЛОМОНУ II

(Резюме)

В статье публикуются два письма (турецкий текст и грузинский перевод) Траpezундского Паши Сейд Сулеймана к царю Имеретии Соломону II. Письма хранятся в Институте рукописей им. К. Кекелидзе АН Грузинской ССР (Тиг. d 102 и Тиг. d 123). Относятся они к 1814 и 1815 годам и содержат важные сведения об отношениях турецких властей к царю Соломону.

¹ ქეთხუდა < სპ. *ქეთხუდა* 'შამასახლისი'.

² ჭანიკი — თურქული გამოთქმით და დაწერილობით ჭანიკი, სამსუნისა და ორდუს ვილაიეთების ძველი სახელი, ოსმალეთის იმპერიის არსებობის ბოლო პერიოდში ტრაპიზონთან და კავშირებული ის სანჯაყი, რომლის ცენტრი იყო სამსუნი.

* 1815 წლის 5 იანვარი

** 1804—05 წწ.